

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

ნანა გუჯეჯიანი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თემის საჯარო სკოლის

ანოტაცია

ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეებს განუვითარებს მოთხოვნილებას, მუდმივად მიიღონ ინფორმაცია მასწავლებლისაგან, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მრავალფეროვანი გახადოს სასწავლო პროცესი. ყოველთვის გააანალიზოს თითოეული გაკვეთილი და განსაზღვროს, რა სახის ინფორმაცია, მონაცემები გახდის გაკვეთილს უფრო მოქნილსა და საინტერესოს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ვლინდება და ვითარდება ის შესაძლებლობები, რომლებიც მოსწავლეებისთვის შემდგომი სერიოზული საქმიანობების პროცესი გახდება ერთდროულად სახალისოც და სასარგებლოც. გარდა იმისა, რომ კითხვის მიმართ ინტერესის აღძვრას უწყობს ხელს, მოსწავლეებს აჩვენებს დეტალებზე დაკვირვებას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, აუმაღლებს მოტივაციას, პასუხისმგებლობის უნარს: ტექსტში საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების მოძებნას აღწერის ელემენტების გამოყენებას, აძლიერებს შემეცნებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება მოსწავლეთა შედეგებზე დადებითად აისახება. წიგნის მნიშვნელობა შეუცვლელია, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს კომპიუტერის როლიც. ამ უკანასკნელმა გაამარტივა ინფორმაციის მიღების გზები. დღეს საჭირო მასალის მოსაძიებლად ბიბლიოთეკებში საათების გატარება აღარაა საჭირო. ამის გაკეთება კომპიუტერის მეშვეობით წამებშია შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: ეფექტური სასწავლო პროცესი, თანამედროვე ტექნოლოგიები

ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მოსწავლეებს განუვითარებს მოთხოვნილებას, მუდმივად მიიღონ ინფორმაცია მასწავლებლისაგან, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მრავალფეროვანი გახადოს სასწავლო პროცესი. ყოველთვის გააანალიზოს თითოეული გაკვეთილი და განსაზღვროს, რა სახის ინფორმაცია, მონაცემები გახდის გაკვეთილს უფრო მოქნილსა და საინტერესოს. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ვლინდება და ვითარდება ის შესაძლებლობები, რომლებიც მოსწავლეებისთვის შემდგომი სერიოზული საქმიანობების პროცესი გახდება ერთდროულად სახალისოც და სასარგებლოც. გარდა იმისა, რომ კითხვის მიმართ ინტერესის აღძვრას უწყობს ხელს, მოსწავლეებს აჩვენებს დეტალებზე დაკვირვებას,

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, აუმაღლებს მოტივაციას, პასუხისმგებლობის უნარს, ტექსტში საკვანძო სიტყვებისა და ფრაზების მოძებნას, აღწერის ელემენტების გამოყენებას, ამლიერებს შემეცნებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება მოსწავლეთა შედეგებზე დადებითად აისახება. წიგნის მნიშვნელობა შეუცვლელია, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს კომპიუტერის როლიც. ამ უკანასკნელმა გაამარტივა ინფორმაციის მიღების გზები. დღეს საჭირო მასალის მოსაძიებლად ბიბლიოთეკებში საათების გატარება აღარაა საჭირო. ამის გაკეთება კომპიუტერის მეშვეობითაა შესაძლებელი. იმ ინფორმაციას, რომელსაც ბავშვები წიგნებიდან იღებენ, განმტკიცება სჭირდება, ამისათვის კი საუკეთესო გზა და საშუალება კომპიუტერია. ამ უკანასკნელის მეშვეობით მოსწავლეები ილუსტრირებულად ხედავენ მასალას და ისმენენ გახმოვანებას, ეს ყველაფერი მათ აზროვნებას ავითარებს. მოსაზრება, რომ ტექნოლოგიები ბავშვებს წიგნებს აშორებს, მეტად მცდარია. წიგნი იყო, არის და იქნება განათლების მიღების სურვილის მქონე ყველა ადამიანის განუყოფელი ნაწილი. ჩემი აზრით წიგნისა და კომპიუტერის კომბინაციით ბავშვები მიიღებენ კარგ განათლებას და ეს პროცესი მათთვის უფრო მარტივი და საინტერესო გახდება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეებისათვის გაკვეთილის შესწავლა წარმოადგენს არა მოვალეობას, არამედ საინტერესო პროცესს მოსწავლე, იგი მასწავლებლის თანამშრომელია. კომპიუტერი ეხმარება მასწავლებელს ისეთ აქტივობების წარმართვაში, როგორებიცაა:

- 1) სურათის აღწერა, გაფერადება, აწყობა,
- 2) ანბანის შესწავლა,
- 3) ტექსტის კითხვა,
- 4) ტექსტის გახმოვანება,
- 5) ტექსტის აწყობა,
- 6) საშინაო დავალება,
- 7) ბეჭდვა,
- 8) ტესტირება,
- 9) ელექტრონული თამაშები,
- 10) პროექტორი,
- 11) კლასის მართვა ბუკის დახმარებით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი

1) სურათის აღწერა

წინასაანბანო პერიოდი ბავშვებს ვასწავლით სურათის აღწერას. მისი საშალებით მოსწავლეები სწავლობენ ახალ სიტყვებს და სიუჟეტურად გადმოსცემენ სურათზე მოცემულს. ბუკებზე მუშაობით უფრო უმარტივდებათ და სახალისოდ ასრულებენ დავალებას. ნაწილ - ნაწილ მოცემულ სგანს ააწყობენ და არქმევენ სახელს (რა თქმა უნდა ზეპირად) ამას აკეთებენ მანამ, სანამ არ ააწყობენ სწორად (მაგალითად საკლასო

ოთახი,“ალაგებენ“მერხებს,სკამებს,დაფას მიუჩენენ ადგილს ,მასწავლებლის მაგიდას და კარადას)ასე ასაწყობად ეძლევათ თემასთან დაკავშირებული სურათები.რასაც დიდი მონდომებით აკეთებენ.

2)ანბანის შესწავლა

თითოეული ასო-ბგერის შესწავლას დიდი ძალისხმევა სჭირდება ,წერას და კითხვას მოსწავლე სიხარულით იწყებს ,მაგრამ არის შემთხვევები რომ მოსწავლე კითხულობს მოცემულ ტექსტს ,მაგრამ ,როცა წერაზე მიდგება საქმე მის გვერდით მჯდომ ამხანაგს შესცქერის თუ როგორ დაწეროს ესა თუ ის ასო.ბუკზე მუშაობით ეს პრობლემა იჭრება,თითოეული ასოს შესწავლას ცდილობენ სხვა და სხვა ხერხით,ასოს აწყობით.ასო-ბგერაზე აგებულ მულტი-კლიპების ყურებით,სადაც ხედავენ იმ ასოზე დაწყებულ სხვა და სხვა საგნებს,(**ბასტი-ბუბუს ანბანი**). ბუკში ჩაწერილ მათთვის განკუთვნილი ანბანის დახმარებით აწყობენ,ასო-ბგერას საბოლოო შესწავლამდე ,რაც უწყობს ხელს ასო-ბგერის კარგად დამახსოვრებას და განმტკიცებას.

3)ტექსტის კითხვა

ანბანის კარგად ათვისების შემდგომ მცირე ზომის ტექსტის კითხვას ვიწყებთ,როგორც წიგნით ასევე ბუკებში.მოსწავლეებს ყოველი თემის ახსნის შემდგომ ,(თუ თემას ეთმობა სამი საათი)მესამე საათზე ვუწერ ბუკებში ჩემ მიერ წინასწარ აწყობილ გაკვეთილს,დასურათებულს და დიდი შრიფტით დაწერილს.ისინი სახლში ინტერესით კითხულობენ ტექსტს და აკვირდებიან თემას მორგებულ სურათებს .ელექტრონული წიგნი ზალიან გამომადგა იმ მოსწავლეებთან ,რომლებსაც წიგნის კითხვა არ უყვარს და ცდილობს მშობლის წაკითხული ზეპირად ისწავლოს .ბუკში ჩატვირთული გაკვეთილი ილუსტრირებულია და სწორედ ეს სიახლე იზიდავს მათ.გამოვიყენე პატარა ხრიკი და წინადადებები შეცდომით დავწერე,აგრეთვე სიტყვაში დავუშვი შეცდომა ,საინტერესო იყო ის ,რომ მათ იპოვეს ეს შეცდომა და მეორე დღეს მომმართეს „საჩივრით“. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ მათ შეიყვარონ წიგნის კითხვა და ადვილად შეძლონ ბუკში აღმოაჩინონ დაშვებული შეცდომა.

4)ტექსტის გახმოვანება

იმითვის,რომ აღმოაჩინონ შეცდომები ელექტრონულ წიგნში,კარგად უნდა იცოდნენ ტექსტი.ამის შემოწმება კი შესაძლებელია, როცა მოსწავლეს ეძლევა დავალებად გაახმოვანოს იგი.გახმოვანება საკმაოდ რთული პროცესია .მოსწავლემ ერთი და იგივე აზრად უნდა წაიკითხოს ბევრჯერ ,სანამ სწორად არ დაადებს ხმას ,ეს კი ხელს უწყობს :კითხვის ტექნიკის დახვეწას.მეტყველების განვითარებას.ინტონაციურ-პუნქტუაციური ჩვევების გამომუშავებას.

5)ტექსტის აწყობა

ყველაზე სახლისო და საინტერესო მოსწავლეებისთვის არის pover point-ში ააწყონ გაკვეთილი.წინასწარ ვუწერ ბუკებში თემასთან დაკავშირებულ სურათებს.სახლში

მოსწავლეები ცდილობენ ჯერ ტექსტი დაყონ აზრაცვებად, შემდეგ თითოეულ აზრაცს შეუსაბამონ სურათი. ასე ააწყობენ მოცემულ დავალებას. მომდევნო გაკვეთილზე მიმდინარეობს მისი შემოწმება თუ რამდენად სწორად შეასრულეს მათ მოცემული დავალება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წყვილებში ხდება განხილვა ვინ სად დაუშვა შეცდომა. ეხმარებიან ერთმანეთს სწორად ჩასვას სათანადო ადგილას ნახატი. ეს მეთოდი კრიტიკულ აზროვნებას უწყობს ხელს.

6) საშინაო დავალება

მოსწავლეების ბუკებში ჩაწერილ გასახმოვანებელ გაკვეთილის ბოლო ფურცელზე მოცემულია საშინაო დავალება, გარდა იმისა რომ უნდა გაახმოვანოს გაკვეთილი, ეძლევა დასაწერად საშინაო დავალების რვეულებში კითხვებზე პასუხი, უნდა იპოვონ ტექსტში ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი და ა.შ. იპოვონ ტექსტში ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და ა.შ. სიტყვები, იპოვონ ტექსტში თხრობითი და კითხვითი წინადადებები, იპოვონ ტექსტში არსებითი სახელები (ვინ? რა?).

ასეთი სახით მიცემული დავალება არასოდეს „არ ავიწყდებათ“ რომ შეასრულონ. ეს მეთოდი პირველ რიგში აწვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, მოსწავლეებს, აგრეთვე უვითარდებათ ახალი ლექსიკური ერთეულების გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება. ხელს უწყობს პუნქტუაციური ჩვევების ფორმირებას. ხმოვნისა და თანხმოვნის დიფერენცირებას.

7) ბეჭდვა

მოსწავლეებისთვის ყველაზე სახალისო პროცესია ბეჭდვა. წინასწარ ბუკებში ვუწერ გაკვეთილს მხოლოდ დასურათებულს და ბავშვებს ეძლევათ დავალებად სურათის გვერდით დაბეჭდონ შესაბამისი ტექსტი. მოსწავლე ცდილობს სწორად, უშეცდომოდ დაწეროს წინადადებები. დასვას სათანადო სასვენი ნიშანი, დაიცვას სტილი, ერთი რამ აღსანიშნავია რომ მას მხოლოდ ბუკში არ უწევს დავალების შესრულება, პარალელურად რვეულებში ეძლევათ დასაწერი. ბუკში ბეჭდვა ხელს უწყობს მარტივი პუნქტუაციურ-ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირებას. სწორი წერის ჩვევის გამომუშავებას. რა თქმა უნდა ეს ვერ შეცვლის წერას საკუთარი ხელით საწერკალმის დახმარებით, მაგრამ ერთგვარი დამხმარე საშვალეაა ისწავლონ წერა.

8) ტესტირება

ყოველი თემის დასრულებისას ვაკეთებთ შემაჯამებელ ტესტირებას, მისი საშუალებით ვადგენ რამდენად კარგად აითვისეს ესა თუ ის თემა. ტესტირება შედგება არჩევითი პასუხიანი, ერთპასუხიანი (სწორია, მცდარია) დაწყვილება (მისადაგება), წინადადების დასრულება (ცარიელი ადგილების შევსება) მოკლე პასუხი.

ტესტირების საშვალეებით ვადგენ სად უჭირს მოსწავლეს, გრამატიკულ თუ ლიტერატურულ საკითხებში. ტესტირება უწყობს ხელს გახდეს მოსწავლე თვითდაჯერებული და საკუთარ თავში დარწმუნებული. რადგანაც ინდივიდუალურად

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

დებულობს ქულას, სხვა მოსწავლე, რომელსაც დაბალი შეფასება აქვს დაცულია კრიტიკისაგან და პოულობს პასუხს სადაც შეცდომა დაუშვა.

ტესტის მიზანია სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, რაც მეხმარება იმის განსაზღვრაში დამეხმარება, თუ როგორ უნდა წარიმართოს სწავლება, რა უნდა შევცვალო და რაზე გავამახილო ყურადღება. ტესტი მშობელს აწვდის სრულ ინფორმაციას მოსწავლის შესახებ.

9) ელექტრონული თამაშები

ელექტრონული თამაშების გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული და კრეატიული აზროვნება, ავითარებს შემეცნებით, სივრცულ და მოტორულ უნარებს. ამ თამაშების დახმარებით მოსწავლე ხდება მოტივირებული. ციფრული თამაშები მოიცავს ვიზუალური და ხმოვანი სტიმულების ერთობლიობას რაც მიმზიდველს ხდის და იწვევს დიდ ინტერესს. გასათვალისწინებელია თამაშის გამოყენების წესები და აუცილებელია მისი სათანადო დაცვა. თამაში არ ნიშნავს მოსწავლე მხოლოდ გართობის მიზნით იყენებდეს ბუკს, არამედ ეს თამაში არის მორგებული მოსწავლეზე და მოსწავლე ამ თამაშზე.

10) პროექტორი

პროექტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია, რომელსაც მთავარი როლი უჭირავს მაშინ, როცა მოსწავლეებისთვის მომზადებული ვიდეოს ჩვენება მაქვს დაგეგმილი. თემასთან დაკავშირებულ მასალას ვამუშავებ და ვაკეთებ პატარა ვიდეო კოლაჟს, რომელსაც შესაბამისი მუსიკის ფონი აძლევს ერთგვარ ეფექტს, მოსწავლეები ინტერესით ადევნებენ თვალს და თითოეულ სურათს აღიქვამენ სწორად. ამ მეთოდის გამოყენებით ის ინფორმაცია, რომელიც წიგნში წერია ბავშვისთვის უინტერესო იყოს, მაგრამ ასე მიწოდებული მასალა დიდი ხნით ამახსოვრდება მას და მაშინაც როცა უკვე დიდი ხანია იმ ვიდეოს ჩვენებიდან გასული მათ მეხსიერებაში ინფორმაცია კარგადაა „შენახული“ და პარალელის გავლება თამამად შეუძლიათ დისკუსიის დროს, კამათობენ და აკეთებენ დასკვნებს. გამოყენებული მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითარდეთ აღქმის და მსჯელობის უნარი. ვიზუალური მასალის სწორად გაგების და გააზრების უნარი. მსჯელობის უნარი. ხდება საკითხის სიღრმისეული წვდომა.

11) კლასის მართვა ბუკის დახმარებით

ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო მართო მრავალრიცხოვანი კლასი, როცა ატარებ ჯგუფურ მუშაობას. ბუკის დახმარებით შესაძლებელია ჯგუფები შექმნა ისე, რომ მოსწავლეები ისხდნენ სხვა და სხვა რიგებში. ავურჩიოთ ლიდერი და მივცეთ სამუშაო თემა. ერთგვარი ხალისით და ინტერესით ასრულებენ ისე, რომ არ იწვევენ ხმაურს, რაც მოყვება ტრადიციულად ჩატარებულ ჯგუფურ მუშაობას (მერხების და სკამების

დალაგება).აქ არ შეიძლება ძლიერმა ბავშვმა დაჩაგროს სუსტი მოსწავლე ,რადგანაც ისინი სხედან სხვა და სხვა ადგილას და მხოლოდ ბუკით უკავშირდებიან ერთმანეთს.ყველას პასუხი ერთიანდება და ლიდერი შეაჯამებს მიწოდებულ პასუხებს .ამის შემდეგ კი ლიდერთა შეჯიბრი გაიმართება დისკუსიის სახით.ყოველივე ეს იწვევს მოსწავლეებში იყვნენ მოტივირებულები .მათთვის გამოყენებული მეთოდი ძალიან სახალისოა.

ბუკის დახმარებით ვაწვდი მომზადებულ ფაილს თემასთან დაკავშირებულს, მოსწავლეები ინდივიდუალურად უყურებენ თავიანთ ბუკებში, ინტერესით ადევნებენ თვალს და დასმულ შეკითხვებს გასცემენ პასუხს. სახლში შესრულებულ დავალებას სწორედ ამ ფაილის მიწოდების პროგრამით აგზავნიან მასწავლებელთან. ინდივიდუალურად არის შესაძლებელი შევამოწმო თითოეულის ნამუშევარი და შევაფასო კომენტარებით მათი მონდომება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელექტრონული სწავლების დანერგვა(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენერები)(ინტელ სასწავლო სერია .თბილისი 2013წელი)